THE ORIGINAL GEORGIAN-ABKHAZ CONFLICT IN ABKAZIA (JULY 1989) AS DOCUMENTED BY BRITISH PRESS SOURCES

პირველი ქართულ-აფხაზური დაპირისპირება აფხაზეთში (1989 წ. ივლისი) ბრიტანული პრესის მასალების მიხედვით[1]

GIORGI BUTSKHRIKIDZE

PhD student of history
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chavchavadze avenue 1, Tbilisi, Georgia.
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

Abstract

Set against the backdrop of the ongoing "transformation" policy and the intricate ethnic landscape of the USSR, the Western press, including the British contingent, keenly observed developments in the allied republics, particularly Georgia, which found itself at the nucleus of ethnic flux. The Abkhazian separatist movement, bolstered by Soviet patronage, rekindled its vigorous from the latter half of the 20th century, epitomized by the anti-Georgian rhetoric espoused by its leaders throughout the decades. In the 1980s, coinciding with the ascent of the Georgian national movement, which fervently pursued the disengagement of Georgia from the USSR and the reinstatement of its sovereignty, the Soviet authorities reinvigorated separatist sentiments, notably backing "Aidgilara" in Abkhazia. On March 18, 1989, they endorsed the so-called "Likhni appeal," wherein the signatories accused the Georgian populace of incessant "oppression" and purported encroachments on Abkhazian "autonomy." In essence, the appeal advocated for the secession of the Abkhazian SSR from Georgia and its annexation to the RSFSR, provoking widespread outcry across Georgian society, both within Abkhazia and nationwide. The Soviet response on April 9, 1989, manifested as a ruthless crackdown on the peaceful demonstrators. The inaugural major confrontation between Abkhaz and Georgian constituents unfolded in July 1989, coinciding with the opening of the Georgian University in Sukhumi. Assisted by Soviet authorities, members of "Aidgilara" and their adherents embarked on violently suppressing the Georgian populace, culminating in clashes between Abkhazians and Georgians in Sukhumi on July 15-16 of the same year. British publications extensively covered this imbroglio, with numerous articles disseminating comprehensive information to the British public regarding the Georgian-Abkhaz conflict and the unfolding events in Georgia. This juncture marks the commencement of our exploration into the depiction of the Georgian-Abkhaz conflict in the British press.

[1] კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, № PHDF-23-560, პროექტის: „აფხაზეთის ომი ბრიტანული პრესის მასალების მიხედვით“ ფარგლებში. “This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation”, № PHDF-23-560, War in Abkhazia according to British press materials.

Key words: British press; Abkhazia; Separatism; Georgian-Abkhaz conflict; July 1989; ethno-conflict.

გიორგი ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის #1
ORCID: 0009-0005-2820-5635
giorgi.butskhrikidze464@hum.tsu.edu.ge
+995577394158

აბსტრაქტი

სსრ კავშირში მიმდინარე „გარდაქმნის“ პოლიტიკისა და გართულებული ეთნიკური მდგომარეობის ფონზე, დასავლური პრესა, მათ შორის ბრიტანულიც, განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს. მათ შორის ყურადღების ცენტრში იყო საქართველო და აქ არსებული სიტუაცია. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გააქტიურდა, რომლის ნათელი მაგალითებიც არის მათი ლიდერების ანტიქართული გამოსვლები ამ საუკუნის თითქმის ყველა დეკადაში. XX საუკუნის 80–იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ, რომლის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოს გამოყოფა სსრ კავშირიდან და დამოუკიდებლობის აღდგენა, საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ძალებით გააქტიურა სეპარატისტული მოძრაობებიც, მათ შორის აფხაზეთში „აიდგილარა“. 1989 წლის 18 მარტს მათ მიერ მიღებულ ე.წ. „ლიხნის მიმართვაში“ ხელმომწერები ქართველ ხალხს ბრალს სდებდნენ ყოველმხრივ „შევიწროვებასა“ და ე.წ. აფხაზური „სახელმწიფოებრიობის“ შეზღუდვაში. მიმართვაში, ფაქტობრივად, მოითხოვდნენ აფხაზეთის ასსრ-ს გამოყოფას საქართველოსგან და რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანას, რასაც ქართული საზოგადოების დიდი პროტესტი მოჰყვა შედეგად როგორც აფხაზეთში, ასევე მთელ ქვეყანაში. პროტესტს საბჭოთა ხელისუფლებამ 1989 წლის 9 აპრილს, მომიტინგეთა მშვიდობიანი პროტესტის სასტიკი დარბევით უპასუხა. პირველი დიდი შეტაკება აფხაზ და ქართველ მოქალაქეებს შორის მოხდა 1989 წლის ივლისში, რომელიც მოჰყვა სოხუმში ქართული უნივერსიტეტის გახსნას. საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით „აიდგილარას“ წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა დაიწყეს ქართველთა დარბევა, რომელსაც იმავე წლის 15-16 ივლისს მოჰყვა შეტაკებები სოხუმში აფხაზებსა და ქართველებს შორის. აღნიშნული დაპირისპირება ფართოდ გაშუქდა ბრიტანულ გამოცემებში, გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული პუბლიკაცია. პრესის მასალები ბრიტანულ საზოგადოებას დეტალურად აცნობდა ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას და ამ ფონზე საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. სწორედ აქედან ავითვლით ბრიტანულ პრესაში ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ასახვის საკითხებსაც.

საკვანძო სიტყვები: ბრიტანული პრესა; აფხაზეთი; სეპარატიზმი; ქართულ-აფხაზური დაპირისპირება; 1989 წლის ივლისი; ეთნოკონფლიქტი.

შესავალი:

სსრ კავშირში ე.წ. „გარდაქმნის“ პოლიტიკის დაწყების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ავტონომიების დაპირისპირების პოლიტიკას მიმართავდა, რათა მოკავშირე რესპუბლიკებში მოსკოვის გავლენა არ შესუსტებულიყო. *„როგორც სსრ კავშირის სუბიექტებად ცნობის გზით, ისე მცირერიცხოვან ერებზე ზრუნვის საბაბით. იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა რეალური საფუძველი არსებობდა საამისოდ ამა თუ იმ ავტონომიაში“* (Cornell 2001: 138) ამ დროს საქართველოში აქტიურდება აფხაზური და ოსური სეპარატისტული მოძრაობები: „აიდგილარა“ და “ადამონ ნიხასი“, რომელთაც მხარდაჭერა მოსკოვისგან ჰქონდათ.

„ცივი ომის“ დასასრულს, როდესაც გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დაშლის რეალური პერსპექტივა, დასავლური საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. ბრიტანული პრესა გამოირჩევა მრავალფეროვანებით და გათვლილია ფართო პუბლიკაზე. ამასთანავე გამოხატავს სხვადასხვა იდეოლოგიურ პლატფორმას. ბრიტანული პრესა აქტიურად წერდა საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება: ა) გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ცნობებს ბეჭდავდნენ საბჭოთა, რუსულენოვანი გამოცემებიდან, რომლებიც ხშირად ნაკლებად ასახავდნენ რეალურ სურათს და ცალმხრივი, ანტიქართული ხასიათის იყო. ვინაიდან, საბჭოთა ხელისუფლებისთვის პრესა კვლავ რჩებოდა ერთ–ერთ მთავარ იდეოლოგიურ იარაღად. ბ) მოსკოვში არსებული საერთაშორისო პრესის ბიუროები, რომლებიც ძირითადად მოქმედებდნენ ახალი ამბების სააგენტო TASS-თან თანამშრომლობით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთ– ერთი ძირითადი საინფორმაციო სააგენტო იყო. გ) ბრიტანული პრესის კორესპოდენტები, რომლებიც უშუალოდ ჩამოდიოდნენ საქართველოში და ადგილზე ეცნობოდნენ ვითარებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი წარმომადგენლები, საქართველოში იმყოფებოდნენ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დროს. 1989 წლის ტრაგიკული მოვლენების გაშუქებიდან დაწყებული და საქართველოს უახლესი ისტორიის სხვა საკვანძო საკითხებით გაგრძელებული.

2023 წელს ჩვენმა პროექტმა, „აფხაზეთის ომი ბრიტანული პრესის მასალების მიხედვით“, გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში (PHDF-23-560). პროექტის ფარგლებში საშუალება მოგვეცა სიღრმისეულად გვეკვლია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. ეს კონკრეტული წერილი კი წარმოადგენს ერთ-ერთ პარაგრაფს აღნიშნული მასალებიდან და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წინაპირობებს და პირველი შეიარაღებული დაპირისპირების შესწავლას ეძღვნება.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს, საქართველოს ისტორიის გარდამტეხი ეტაპის, 1980-იანი წლების მიწურულთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქება ბრიტანული მასალების მიხედვით, რომლებიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალური და პრობლემატური საკითხების შესწავლისთვის არსებობს მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, როგორიც არის: ქართული და უცხოური პრესის მასალები, თანამედროვეთა მოგონებები, საერთაშორისო ორგანიზაციების მომზადებული დასკვნები სხვადასხვა საკითხების შესახებ, საარქივო მასალები, მონოგრაფიები და სხვა. საკვლევ თემაზე მუშაობისას ჩვენთვის მეტად ღირებული იყო

პირველწყაროები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია პრესის მასალებით, რომლებიც მოვიძიეთ ბრიტანული პრესის არქივში "The British Neswpaper Archive" რომელიც წარმოადგენს ბრიტანული პრესის ერთ–ერთ უდიდეს, დახურულ ციფრულ ბაზას. ნაშრომში ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ბრიტანულ გამოცემებს: "Aberdeen Evening Express", "Aberdeen Press and Journal", "Dundee Courier", "Irish Independent", "Liverpool Echo", "Newcastle Journal", "Reading Evening Post", "Sunday Tribune", "The Courier and Advertiser", "The Scotsman" და სხვ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ ეტაპზე არ არსებობს კომპლექსური ნაშრომი: სტატიის ან მონოგრაფიის სახით, რომელშიც განხილული იქნება ბრიტანული მრავალფეროვანი და განსხვავებული შეხედულებების მქონე პრესის მასალები, ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შესახებ. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკელი წარმოშობის ჟურნალისტის თომას გოლცის ნაშრომი, „საქართველო: ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში". ავტორი 1992 წლის იანვარში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ჩამოვიდა საქართველოში, როგორც გაზეთ "Sunday Times"-ის კორესპონდენტი და აშუქებდა აფხაზეთის ომსაც.

მეთოდები:

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია. გამომდინარე იქიდან, რომ უახლესი ისტორიის მოვლენებთან დაკავშირებული პრესის მასალების შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს ნაშრომის ძირითად ამოცანას, გამოვიყენეთ რეტროსპექტული მეთოდი, რომელმაც მოგვცა საშუალება ისტორიული მოვლენების შეფასების და გაანალიზების, მისი შედეგებიდან გამომდინარე. ხოლო ისტორიული მოვლენების დროის დინამიკაში შესასწავლად მივმართეთ ისტორიზმის პრინციპს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ისტორიული მოვლენების განვითარებას, მისი საწყისიდან და დავინახოთ მიმართება სხვა პროცესებთან.

შედეგები:

სტატიაში წარმოჩენილია, ქართულ-აფხაზური პირველი შეიარაღებული დაპირისპირების ძირითადი ასპექტები. განხილულია ბრიტანული პრესის მასალები, რომელთა ქართულ პრესასთან და სამეცნიერო ლიტერატურასთან შეჯერებით გამოიყო ძირითადი ტენდენციები. შევისწავლეთ დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები და პროცესის მნიშვნელობა. ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები. პროცესში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის, საბჭოთა ხელისუფლების, საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების როლი.

მასალების შესწავლის საფუძველზე ვასკვნით რომ ბრიტანულ საზოგადოებას ცნობები განვითარებული მოვლენების შესახებ ყოველდღიურად მიეწოდებოდა და საკითხისადმი იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

სიახლეები იბეჭდებოდა როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ გამოცემებში. ბრიტანული პრესა, ძირითადად, საკითხს ორ კონტექსტში განიხილავდა: 1) როგორც „გარდაქმნის" პოლიტიკის პარალელურად განვითარებულ დაპირისპირებას და მის მიმართებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან 2) როგორც რეგიონულ ეთნოკონფლიქტს. ბრიტანული პრესის ინტერესი სსრ კავშირის და მისგან გამოყოფის მოსურნე რესპუბლიკების და კონკრეტულად საქართველოს მიმართ არ შეჩერებულა, რომლის დასტურიც არის მომდევნო პერიოდებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები.

მსჯელობა:

აფხაზური სეპარატისტული მოძრაობისათვის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა სოხუმში არსებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა რექტორად ალეკო გვარამიას არჩევის შემდეგ, რომელმაც, 1988 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნის 70 წლის იუბილეზე, რუსულ ენაზე მიმართა დამსწრე საზოგადოებას (პაპასქირი, 2007, გვ. 222**),** რომელსაც ქართული საზოგადოების მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეპარატისტულად განწყობილმა პროფესორ-მასწავლებლებმა 1989 წლის 18 მარტს ხელი მოაწერეს ე.წ. „ლიხნის მიმართვის“ ტექსტს. აღნიშნულ მიმართვას საქართველოს მასშტაბით დიდი პროტესტი მოჰყვა, რომლის კულმინაციაც იყო 1989 წლის 9 აპრილის, თბილისში მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევა. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი რექტორის, ზურაბ ანჩაბაძის, გარდაცვალების შემდეგ სეპერატისტული ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ უნივერსიტეტზე კონტროლის დამყარებას, რომელიც დაიწყო კიდეც რექტორად ზაურ ავიძბას დანიშვნის შემდეგ. უნივერსიტეტში სეპარატისულ ფრთას მეთაურობდა პრორექტორი, პროფესორი ოლეგ დომენია: *„სწორედ ამ „ეროვნული ლიდერის“ ირგვლივ დაირაზმნენ სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები“* (პაპასქირი, 2007, გვ. 220). სოხუმში „აიდგილარას“ აშკარა ანტიქართული მოქმედებების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი, ქართული უნივერსიტეტის გახსნისა (პაპასქირი, 2007, გვ. 222-225; ჯოჯუა, 2009, გვ. 115-120).

საბოლოოდ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და ქართული საზოგადოების ზეწოლის შემდეგ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა დათანხმებოდა, სოხუმში გახსნილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი (კომუნისტი, 1989, გვ. 1**).** რექტორად აირჩიეს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ფელიქს ტყეებუჩავა. აფხაზური მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვა აღნიშნულ მოვლენას. სოხუმში მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა, რომლის პიკმაც 1989 წლის 15 ივლისს მიაღწია, როდესაც დანიშნული იყო მისაღები გამოცდები. „აიდგილარას“ ლიდერებმა მიიღეს გადაწვეტილება მისაღები გამოცდების ჩაშლის შესახებ, სოხუმში შეკრიბეს სხვადასხვა იარაღით აღჭურვილი რამდენიმე ათასი აქტივისტი და 15-16 ივლისს მოაწყვეს ქართველთა მასობრივი დარბევა, რომელიც სოხუმის N1 სკოლაში განლაგებულ საგამოცდო ცენტრზე შეტევით დაიწყო. მათივე ზეწოლით ერთი კვირით შეწყდა აფხაზეთში ქართულენოვანი გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთის“ გამოცემაც (საბჭოთა აფხაზეთი, 1989, 3). მომდევნო ორი კვირის განვლობაში აფხაზეთში მიმდინარეობდა მძიმე დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის. აფხაზეთის ქართველობის დასახმარებლად მთელი საქართველოდან დაიძრნენ, განსაკუთრებით კი სამეგრელოს რეგიონიდან. შეტაკებები შეწყდა აფხაზეთში სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ჩარევისა და ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერების ჩართვის შემდეგ. დაპირისპირებული მხარეების შეჩერების მიზნით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებაც (ყოლბაია, ჭახრაკია, გელანტია, ლაცუზბაია, 2000, გვ.52).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა ქალაქ სოხუმში შექმნა პრესცენტრი (კომუნისტი, 1989, გვ. 4), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ობიექტური ინფორმაციის მიწოდება როგორც მოსახლეობისათვის, ასევე საკავშირო და საერთაშორისო პრესისათვის. ბრიტანულ პრესაში ხშირად გვხვდება ცნობები, როგორც საკავშირო, ასევე „საქინფორმის“ მასალებიდან.

ბრიტანულ გამოცემებში 1989 წლის 17 ივლისიდან დაიწყო ცნობებისა და ვრცელი პუბლიკაციების გამოქვეყნება, სოხუმში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ, რომელიც განხილული იყო სსრ კავშირში, კონკრეტულად უკრაინასა და ციმბირში მიმდინარე მაღაროელთა გაფიცვების ფონზე. სოხუმში განვითარებული მოვლენების შესახებ პუბლიკაციები ქვეყნდებოდა როგორც ივლისში, ასევე მომდევნო თვეების განმავლობაში.

პირველი პუბლიკაცია, რომელიც ამ საკითხზე გამოქვეყნდა, დაიბეჭდა შოტლანდიურ გაზეთ "The Scotsman"-ში სათაურით - „დაპირისპირების 11 მსხვერპლი შავი ზღვის სანაპიროზე"(The Scotsman, 1989, გვ. 6), რომელშიც ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი სოხუმში განვითარებული მოვლენები: *„სროლები გრძელდება გუშინდელი მონაცემებით სოხუმში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე აფხაზეთის ცენტრში დაწყებულ დაპირისპირებას უკვე ემსხვერპლა 11 ადამიანი"* (The Scotsman, 1989, გვ. 6). ამავე სტატიაში მოყვანილია საბჭოთა სააგენტო "TACC"-ის ინფორმაცია, აფხაზეთში დაგეგმილი ჯარების შეყვანის შესახებ წესრიგის აღსადგენად. გაზეთის ცნობის მიხედვით: *„ქართველები და აფხაზები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: ხელკეტებით, დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღით"* (The Scotsman, 1989, გვ. 6).

მეორე გამოცემა "Birmighem Mail"-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სათაურით - „ქართული დაპირისპირება"(Birmighem Mail, 1989, გვ. 2) მოტანილია აფხაზეთის ასსრ-ის მაღალჩინოსნის საიდ ტარკილის სატელეფონო ინტერვიუ, რომლის დროსაც განაცხადა, რომ *„დაპირისპირება დაიწყო ქართული მხარის მიერ, რომელთა სურვილიც იყო გამოყოფდნენ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და შეერთებოდნენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაარსებულ ახალ სასწავლებელს, რითაც იზღუდებოდა აფხაზთა მიღება"* (Birmighem Mail, 1989, გვ. 2). მისივე განცხადებით კი: *„აფხაზური მხარე ამის წინააღმდეგია, რადგან დაუშვებელია უნივერსიტეტის დაყოფა ეროვნებების მიხედვით"*(Birmighem Mail, 1989, გვ. 2). პუბლიკაციაში დეტალურად არის განხილული აფხაზეთში განვითარებული პროცესები, იმავე წლის მარტის შემდეგ. აღნიშნულია, რომ ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც აფხაზებმა მოინდომეს საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა, რასაც პროტესტი და თბილისში მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა და მსხვერპლი მოჰყვა. სტატიაში აღნიშნულია ისიც, რომ აფხაზეთის რეგიონში: *„535000 მცხოვრებია, აქედან 91000 აფხაზი და აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი"*(Birmighem Mail, 1989, გვ. 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საიდ ტარკილი პირადად ესწრებოდა იმავე წლის 8 ივლისს აფხაზი სეპარატისტების შეკრებას, აფხაზეთის მწერალთა კავშირის შენობაში, სადაც შეკრებილები გამოდიოდნენ თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისათვის გამოცდების ჩატარების აკრძალვის მოთხოვნით: *„ექსტრემისტულად განწყობილმა რამდენიმე პირმა პირდაპირ განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში „მეორე ფერღანას" მოგიწყობთო"* (კომუნისტი, 1989, გვ. 4).

20 მარტს ირლანდიურ გაზეთ "Irish Independent"-ში გამოქვეყნდა ცნობა სათაურით „არეულობის 11 მსხვერპლი საბჭოეთში"(Irish Independent, 1989, გვ. 22), რომლის მიხედვითაც: *„მძიმე შეტაკებებს უკვე 11 ადამიანი ემსხვერპლა და 128 საავადმყოფოშია გადაყვანილი"* (Irish Independent, 1989, გვ. 22).

მომდევნო დღეებში დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან საინტერესოა გაზეთ "Cambridge Daily News"-ის სტატია სათაურით „საბჭოთა კურორტზე ძალადობამ იმატა" (Cambridge Daily News, 1989, გვ. 4), რომელშიც განხილულია სოხუმში და ზოგადად აფხაზეთში არსებული გართულებული ვითარება და დაპირისპირებული მხარეების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ხელში ჩაგდების ფაქტები: *„დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მოქალაქეები*

შეიჭრნენ ციხეებსა და პოლიციის შენობებში, ცეცხლი გაუხსნეს სახელმწიფო დაწესებულებებს". (Cambridge Daily News, 1989, გვ. 4) ბრიტანული გამოცემის ავტორი გულისხმობს ქალაქ ზუგდიდს, საიდანაც პატიმრები გაიქცნენ და სხვა ქალაქებში მომხდარ თავდასხმებს სახელმწიფო ორგანოებზე, რომლის დროსაც: *„თავდამსხმელებმა ხელთ იგდეს როგორც მოსახლეობისათვის ჩამორთმეული სანადირო თოფები, ისე შინაგან საქმეთა ორგანოების კუთვნილი იარაღი"* (კომუნისტი, 1989, გვ. 1) ამავე სტატიაში არის ცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, გიზო გრძელიძის, მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ *„მხოლოდ ერთ შეტაკებაში მდინარე გუმისთან 400 ქართველი და აფხაზი იღებდა მონაწილეობას"* (Cambridge Daily News, 1989, გვ. 4) დაპირისპირების შედეგად რამდენიმე მონაწილე დაიჭრა. იმავე დღეს, 16 ივლისს, შეტაკება მოხდა მდინარე ღალიძგასთან, ოჩამჩირის რაიონში, რომელსაც სამი ქართველი ემსხვერპლა(კომუნისტი,1989, გვ.1). დაპირისპირებული მხარეების შეჩერებაში დიდი როლი შეასრულეს: *„ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, განსაკუთრებით მერაბ კოსტავამ, ასევე საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. მნიშვნელოვანი იყო შინაგანი ჯარების გენერალ-პოლკოვნიკის იური შატილინის ჩარევაც"*(Папаскири, 2010, გვ. 338). ამავე საგაზეთო ცნობის მიხედვით, აფხაზეთში მოსახლეობამ გარკვეულ მონაკვეთებზე აყარა ლიანდაგი და შეაფერხა მატარებლების გადაადგილება. პუბლიკაციაში მოყვანილია ცნობა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, ვადიმ ბაკატინის, ინტერვიუდან, რომ საქართველოს სხვა რეგიონებიდან აფხაზეთში 3000-მდე მილიციელისა და ჯარისკაცის შეყვანა იგეგმება, ასევე შინაგან ჯარებს გზავნიან მოსკოვიდან (Cambridge Daily News, 1989, გვ. 4). ამავე სტატიის მიხედვით, თბილისიდან ვითარების დასარეგულირებლად სოხუმში ჩავიდა სამი მაღალჩინოსანი: (*გივი გუმბარიძე-საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ოთარ ჩერქეზია-საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე; ოთარ ჭითანავა-საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი.გ.ბ).*

გაზეთ "Dundee Courier"-ის ცნობით კი *„შავი ზღვის სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ სოხუმში უკვე დაიწყეს წესრიგის აღდგენა საბჭოთა ჯარების ნაწილებმა, რომლებმაც ბუფერის როლი უნდა შეასრულონ ქართველებსა და აფხაზებს შორის"*(Dundee Courier, 1989, გვ. 7)

აფხაზეთში მიმდინარე დაპირისპირების საერთო საბჭოთა კონტექსტისათვის საინტერესოა გაზეთ "Cambridge Daily News"-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „გორბაჩოვის პერესტროიკას გაფიცვები ემუქრება" (Cambridge Daily News, 1989 გვ. 4), რომელშიც საბჭოთა კავშირში მიმდინარე მაღაროელთა გაფიცვების ფონზე განხილულია აფხაზეთში განვითარებული პროცესები. პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ *„გაფიცვებს თან დართულმა დაპირისპირებამ აფხაზეთში შესაძლოა გორბაჩოვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს საფრთხე შეუქმნას"*(Cambridge Daily News, 1989 გვ. 4). აფხაზეთი სსრ კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკურორტო ზონას წარმოადგენდა. ბუნებრივია, მიმდინარე დაპირისპირებამ გავლენა იქონია ტურისტულ სეზონზეც. საკითხი გაშუქებულია გაზეთ "Manchester Evening News"-ში, რომელშიც გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით „ათასობით ტურისტი გარბის" (Manchester Evening News, 1989, გვ. 4), რომელიც მკითხველს ამცნობს, რომ *„შავი ზღის სანაპიროს ტოვებს ათასობით, ტურისტი, რადგან შეიარაღებული მოქალაქეები და ბანდები თარეშობენ, ასევე რეგიონში გაჩერებულია სამრეწველო დაწესებულებები"* (Manchester Evening News, 1989, გვ. 4). ამავე ცნობის მიხედვით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ აუკრძალა როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთის ტურისტებს რეგიონში ჩასვლა მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

აფხაზეთში განვითარებული ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მიმდინარეობისას გაზეთ "Irish Independent"-ში მიხედვით: *„აფხაზეთში არეულობის დროს თავს დაესხნენ ჰიდროელექტროსადგურის კაშხალს(იგულისხმება ენგურჰესი-გ.ბ) და სცადეს მისი მუშაობის შეფერხება"* (Irish Independent, 1989, გვ. 22). სოხუმში არსებული მძიმე სიტუაციის გამო, მოქალაქეთა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად: *„ენგურჰესის მუშაკები აიძულა დაეწყოთ წყლის გადაშვება წყალსაცავიდან და პრაქტიკულად გაეჩერებინათ ელექტროსადგურის მუშაობა"* (კომუნისტი, 1989, გვ. 4). ამავე პუბლიკაციაში გადმობეჭდილია ცნობები "Заря Востока"-დან ოჩამჩირის რაიონში, ჯვარსა და მერკულაში დაჭრილების შესახებ. "Irish Independent"-ის მომდევნო ნომერში კვლავ ვრცელი ადგილი ეთმობა სსრ კავშირში განვითარებულ პროცესებს. კუზბასელ და ციმბირელ მაღაროელებთან საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღწეულ შეთანხმების ფონზე ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში მძიმე რჩება სიტუაცია, განსაკუთრებით კი „ენგურჰესის" ჰიდროელექტროსადგურის როლი და მისი გაჩერებით გამოწვეული ზარალი (Irish Independent, 1989, გვ. 26).

მნიშვნელოვანია 1989 წლის 21 ივლისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" ბრიტანელი კავკასიოლოგისა და აფხაზოლოგის, ბრაიან ჯორჯ ჰიუითის მიერ გამოქვეყნებული წერილი: *„უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაზე (ღია წერილი ქართველებს)"*(ლიტერატურული საქართველო, 1989, გვ. 2-3), რომელიც იმავე წლის მაისით თარიღდება. ავტორი თითქოს ცდილობს, რომ შემრიგებლური პოზიცია დაიჭიროს ქართველებსა და აფხაზებს შორის, მაგრამ წერილს წითელ ზოლად გასდევს ბრალდებები ქართველი ხალხის მიმართ, რომ ისინი ჩაგრავდნენ აფხაზებს, ცდილობდნენ მათ ასიმილირებას და აშ. ჰიუითი ერთგვარად სტალინისა და ბერიას დროს მიღებული გადაწყვეტილებების, დამწერლობის რეფორმის და სხვ. გამო ქართველებს მოუწოდებს, რომ ბოდიში მოუხადონ აფხაზებს: *„დაე ქართველობამ გაიგოს ამ საუკუნის დასავლეთ საქართველოს სევდიანი ისტორია, აღიაროს დანაშაული, ბოდიში მოუხადოს აფხაზებს"* (ლიტერატურული საქართველო, 1989, გვ. 2-3). მოცემულ მიმართვას ქართული საზოგადოების მხრიდან მოჰყვა საპასუხო წერილებიც. აღსანიშნავია, რომ ბრაიან ჯორჯ ჰიუითი დღემდე აქტიურად ლობირებს აფხაზურ მხარეს და აგრძელებს ქართველთა დადანაშაულებას.

წესრიგის დამყარების დროს მძიმედ დაშავდა მრავალი ქართველი სამართალდამცველი. გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში სანადირო თოფით მოკლეს ქართველი მილიციელი, რამინ ჩოჩია (კომუნისტი, 1989, გვ. 1). აფხაზეთში ვითარების დასარეგულირებლად შეყვანილ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებს, იარაღის ჩამორთმევის დროს, ხვდებოდა გარკვეული წინააღმდეგობები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1989 წლის 21 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაპში აფხაზების მიერ მოკლული ორი ჯარისკაცის საკითხი (საბჭოთა აფხაზეთი, 1989, გვ. 3). აღნიშნული ფაქტის შესახებ ცნობა დაიბეჭდა გაზეთ "Lincolnshire Echo"-ში: *„აფხაზეთში სანადირო თოფებით შეიარაღებულმა ადგილობრივებმა მოკლეს შინაგანი ჯარების ორი წევრი. (ვ. ნოვიკოვი და ვ. აკოპოვი-გ.ბ) ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკებები კვლავ გრძელდება"*(Lincolnshire Echo, 1989, გვ. 26).

აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის გამო, 1989 წლის 25 ივლისი გლოვის დღედ გამოაცხადა საქართველოს სსრ-ს ხელისუფლებამ (კომუნისტი, 1989, გვ. 1), ხოლო დაწყებულმა გამოძიებამ მხოლოდ „აიდგილარას" რამდენიმე რიგითი მხარდამჭერი და ჩინოვნიკი დასაჯა. დაპირისპირების მთავარი ინიციატორები კი დაუსჯელნი დარჩნენ. შეტაკებებს შეეწირა 14 ადამიანი, 9 ქართველი და 5 აფხაზი, დაშავდა რამდენიმე ასეული.

დაღუპულებს შორის იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზეთში, ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს.

ქართული საზოგადოების პროტესტის ტალღამ 1989 წლის ივლისის ბოლოს თბილისში გადაინაცვლა. საქართველოს დედაქალაქში მიმდინარე პროტესტი ასევე ფართოდ გაშუქდა ბრიტანული პრესის ფურცლებზე.

საინტერესოა ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკური მიმომხილველის, პიტერ კონრადის სტატია სათაურით - „საქართველო მოსკოვის წინააღმდეგ გამოდის“ (Liverpool Daily (Welsh Edishen), 1989, გვ. 10). ავტორი დაწვრილებით აღწერს თბილისში მიმდინარე მიტინგსა და იქ განვითარებულ მოვლენებს. სტატიაში ვკითხულობთ, რომ *„სულ ცოტა 20000 ქართველი გამოვიდა დროშების ფრიალით ქუჩაში და შეძახილით „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! ძირს რუსეთის იმპერია!“* (Liverpool Daily (Welsh Edishen), 1989, გვ. 10). ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს დედაქალაქში მოწყობილი მსვლელობა ყველაზე მასშტაბურია 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, რომლის დროსაც სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები. დეტალურად არის აღწერილი მომიტინგეთა გადაადგილება: *„მთავრობის სახლის წინ სადაც მომიტინგეები ისხდნენ (9 აპრილს-გ.ბ) ჩატარდა მსვლელობა და მონაწილეებმა აწეული ხელებით და წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი გარდაცვლილებს“* (Liverpool Daily (Welsh Edishen), 1989, გვ. 10), შემდეგ კი გაიარეს რუსთაველის პროსპექტი და გადაინაცვლეს მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან. გამომსვლელები აპროტესტებდნენ აფხაზების მიერ საქართველოსგან გამოყოფის სურვილს, რის საწინააღმდეგოთაც 30-მა სტუდენტმა მჯდომარე აქცია დაიწყო, ხოლო სამმა მათგანმა კი შიმშილობა გამოაცხადა. პუბლიკაცია კიდევ ერთჯერ ახსენებს მკითხველს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას და ქართველთა მსხვერპლს.

გაზეთ "Irish Independent"-ის 31 ივლისის ნომერში ცნობის სახით დაიბეჭდა ფოტო აღწერით: *„ჩამორთმეული იარაღი... საბჭოთა ჯარისკაცები აჩვენებენ ასობით ცეცხლსასროლ იარაღს საქართველოდან. რომელიც ჩამორთმეულია აფხაზეთის რეგიონში ეთნიკური დაპირისპირებისას, ორი კვირის წინ“* (Irish Independent, 1989, გვ. 9).

იმავე წლის დეკემბერის ბოლოს, სოხუმთან დაძმობილებული, შოტლანდიური ქალაქის, კილმარნოკის, გაზეთში "The Kilmarnock Standard"-ში დაიბეჭდა ცნობა სათაურით: „საბჭო უარს ამბობს“ (The Kilmarnock Standard, 1989, გვ. 15), რომლის მიხედვითაც: *„ქალაქის საბჭომ მიიღო ორი წერილი აფხაზეთიდან რეგიონიდან, რომლის ცენტრალური ქალაქი სოხუმი არის ჩვენთან დაძმობილებული“* ((The Kilmarnock Standard, 1989, გვ. 15). წერილი ეძღვნებოდა იმავე წლის ივლისში მომხდარ დაპირისპირებას. თუმცა, როგორც ქალაქის მერმა, რიჩარდ ჯენერმა, გადაწყვიტა: *„ეს არის ძალიან რთული სიტუაცია და ჩვენ მასში არ უნდა ჩავერიოთ“*(The Kilmarnock Standard, 1989, გვ. 15).

დასკვნა:

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ 1989 წლის ივლისში მიმდინარე ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ფართოდ გაშუქდა ბრიტანულ პრესაში. გამოცემებში ყოველდღიურად ქვეყნდებოდა, როგორც მცირე ცნობები ასევე ანალიტიკური პუბლიკაციები, რომელიც საკითხისადმი მაღალ ინტერესზე მეტყველებს. კვლევის პროცესში შევისწავლეთ დაპირისპირების მიზეზები და წინაპირობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1989 წლის 18 მარტის „ლიხნის მიმართვა“, რომელმაც დააჩქარა ქართულ-

აფხაზური დაპირისპირება. ქართულმა საზოგადოებამ დაინახა აფხაზეთის დაკარგვისა და ჩამოშორების რეალური საფრთხე. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აღნიშნული მოვლენის შემდეგ იწყება აფხაზეთში ქართველთა პოლიტიკური აქტივობა, რომელსაც ძალადობრივი მეთოდებით უპირისპირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისგან მხარდაჭერილი, სეპარატისტული ორგანიზაცია „აიდგილარა“. აღნიშნულ გაერთიანებას გააჩნდა მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურა და მიზნად ისახავდა, ქართველთა ჩამოშორებას მმართველობის ყველა რგოლიდან, რომლებშიც მათ ისედაც მეორეხარისხოვანი პოზიციები ეჭირათ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის რეგიონში ქართველების პროცენტული რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა აფხაზებისას. „აიდგილარას“ საბოლოო მიზანს კი პირდაპირ რსფსრ-სთან შეერთება წარმოადგენდა. ბრიტანული გამოცემები არა მარტო აქვეყნებდნენ ცნობებს, არამედ არსებულ დაპირისპირებას განიხილავდნენ, „გარდაქმნის“ პოლიტიკისა და ეთნოკონფლიქტების ჭრილში. მნიშვნელოვანია, რომ პუბლიკაციებში წარმოდგენილია, ორივე მხარის პოზიციები. განხილულია არსებული ვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეებიც. საგანგებოდ აღნიშნულია, აფხაზეთის ასსრ-ის სტატუსი საბჭოთა საქართველოში, რომ მიუხედავად აფხაზთა მცირერიცხოვნობისა რეგიონს აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ბრიტანული პრესის მასალების შეჯერებით ქართულ პრესასთან: „კომუნისტი“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“ შესაძლებელი ხდება პროცესის აღდგენა და მისი განვითარების თითოეული დღისათვის თვალის გადევნება. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს უკვე დღე რეტროსპექტულად შევხედოთ 1989 წელს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს. როგორ მივიდა ქართული და აფხაზური საზოგადოება პირველი შეიარაღებული შეტაკებიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირებამდე. კონფლიქტის გაღვივებაში მნიშვნელოვანია მესამე ძალის ჯერ საბჭოთა ხელისუფლებისა და შემდეგ რუსეთის ფედერაციის როლი. საინტერესოა, რომ გამოიკვითა ბრიტანელი მეცნიერის ბრაიან ჯორჯ ჰიუთის პოზიცია, რომლის წერილსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში. ქართველმა კორესპონდენტებმა დაპირისპირების პირველივე დღეებში შექმნეს სოხუმში პრესცენტრი, რომელსაც დიდი როლი ჰქონდა ინფორმაციის გავრცელების საქმეში. ბრიტანულ გამოცემებში გაშუქებული საქართველოს მოსახლეობის მაღალი ინტერესი აფხაზეთში არსებული ვითარებისადმი და აღნიშნულია, მათ სურვილი სხვადასხვა ფორმით შეეჩერებინათ დაპირისპირება. მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჩართულობა, კონფლიქტის დარეგულირებაში. აფხაზეთში გააქტიურებული სეპარატისტული მოძრაობის გასაპროტესტებლად ათასობით ქართველი გამოვიდა თბილისის ქუჩებში. დემონსტაციები ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა და აქტიურად გაშუქდა ბრიტანულ პრესაში თუ როგორ დაუპირისპირდა ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას და პირდაპირ მოითხოვდნენ საქართველოს გამოყოფას სსრ კავშირიდან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული პრესის მასალების შესწავლამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა საქართველოში მიმდინარე პროცესები დაგვენახა უფრო დისტანცირებული სივრციდან და განგვეანალიზებინა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ქართულ-აფხაზური დაპირისპირება. შეგვესწავლა და განგვეხილა გლობალური პროცესის „გარდაქმნისა“ და საბჭოთა კავშირის რღვევის დასაწყისის მიმდინარეობის ფონზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

პაპასქირი, ზ. (2007). *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, 1917-1993.* თბილისი: გამომცემლობა, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა“.

ჯოჯუა, დ. (2009): *აფხაზეთის 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები.* თბილისი: გამომცემლობა „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

გელანტია რ, ლაცუზბაია დ, ყოლბაია ვ, ჭახრაკია თ, (2000). *აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში: საქართველოს საკანონმდებლო. აღმასრულებელი ხელისუფლება. საერთაშორისო ორგანიზაციები.* ნაწილი I. 1989-1999 წ.წ. თბილისი.

Cornell, S, (2001). *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus.* Richmond: Publishing house “Curson Press”.

Папаскири, З. (2010). АБХАЗИЯ. ИСТОРИЯ БЕЗ ФАЛЬСИФИКАЦИИ. Издание второе, исправленное и дополненное. Тбилиси: Издательство, “Сухумского Государственного Университета”.

პერიოდული პრესა

გაზეთი. *„ლიტერატურული საქართველო“.* (1989) #29. თბილისი

გაზეთი. *„კომუნისტი“.* (1989) #164. თბილისი

გაზეთი. *„კომუნისტი“.* (1989) გაზეთი. გვ. 1 #164. თბილისი

გაზეთი. *„კომუნისტი“.* (1989) #165. თბილისი

გაზეთი. *„კომუნისტი“.* (1989) #166. თბილისი

გაზეთი. *„კომუნისტი“.* (1989) #167. თბილისი

გაზეთი. *„საბჭოთა აფხაზეთი“.* (1989) #138. სოხუმი.

გაზეთი. *“The Scotsman”.*(1989, July 17th)

გაზეთი. *“Birmingham Mail“* . (1989, July 17th)

გაზეთი. *“Irish Independent”.* (1989, July 20th)

გაზეთი. *“Irish Independent”.* (1989, July 20th)*newspapers. p.22.*

გაზეთი. *“Irish Independent”.* (1989, July 21 th)

გაზეთი. *“Cambridge Daily News”.* (1989, July 18th)

გაზეთი. *“Dundee Courier”.* (1989, July 18th)

გაზეთი. *“Cambridge Daily News”.*(1989, July 19th)

გაზეთი. *“Lincolnshire Echo”.* (1989, July 20th)

გაზეთი. *“Manchester Evening News”.* (1989, July 20th)

გაზეთი . *“Liverpool Daily (Welsh Edishen*)”. (1989, July 25th)

გაზეთი . *“The Kilmanrock Standard*“. (1989, December 15th)

REFERENCES

p’ap’askiri, z. (2007). *nark’vevebi tanamedrove apkhazetis ist’oriuli tsarsulidan, nak’veti II (1917-1993*). [Essays from the Historical Past of Modern Abkhazia, Plot II, 1917-1993]. Tbilisi: Publishing house “ "Ivane Javakhishvili TSU Sokhumi Branch Publishing House".

Jojua, d. (2007). *Apkhazetis 1938-2006 ts'lebshi; regionaluri ist'oriuli p'rotsesis asp'ekt'ebi*. [Abhazia 1938-2006: Aspects of Regional-historic processes] Tbilisi: Publishing house "Sokhumi State University".

gelant'ia, r. latsuzbaia d, ch'akh'rakia t. (2000*). Apkh'azetis sak'itkhi opits'ialur dok'ument'ebshi: sakartvelos sak'anonmdeblo. Agh'masrulebeli kh'elisupleba. Saertashoriso organizatsiebi. Nats'ili I. 1989-1999.* [The issue of Abkhazia in official documents: Legislative of Georgia. executive power. international organizations. Part I. 1989-1999]. Tbiliisi.

Cornell, S, (2001). Cornell, Svante E. Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in theCaucasus. Richmond: Publishing house, "Curson Press".

p'ap'askiri, z. (2010). *Abkh'azia, ist'oria bez palsipikacii*. [ABKHAZIA. HISTORY WITHOUT Falsification]. Second edition, corrected and expanded. Tbilisi: Publishing house, "Sukhumi State University".

Periodical press

gazeti . „*literat'uruli sakartvelo"* (1989)#29, [Newspaper *"Literaturuly Sakartvelo*", (1989)#29] Tbilisi
gazeti. „*komunisty"*. (1989) #164. [Newspaper "*Komunisty"*, (1989) #164.] Tbilisi
gazeti. „*komunisty"*. (1989) #165. [Newspaper *"Komunisty",* (1989) #165] Tbilisi
gazeti. „*komunisty"*. (1989) #166. [Newspaper "*Komunisty"*, (1989) #166] Tbilisi
gazeti. „*komunisty"*. (1989) #167. [Newspaper "*Komunisty"*, (1989) #167] Tbilisi
gazeti. *„sabch'ota apkh'azeti".*(1989) #138. [Newspaper "Sabchotha Abkhazety, *"*(1989) #138] Sokhum.
Newspaper. *"The Scotsman".*(1989, July 17th)
Newspaper. *"Birmingham Mail"* . (1989, July 17th)
Newspaper. *"Irish Independent".* (1989, July 20th)
Newspaper. *"Irish Independent".* (1989, July 20th)*newspapers. p.22.*
Newspaper. *"Irish Independent".* (1989, July 21 th)
Newspaper. *"Cambridge Daily News".* (1989, July 18th)
Newspaper. *"Dundee Courier".* (1989, July 18th)
Newspaper. *"Cambridge Daily News".*(1989, July 19th)
Newspaper *"Lincolnshire Echo".* (1989, July 20th)
Newspaper. *"Manchester Evening News".* (1989, July 20th)
Newspaper *. "Liverpool Daily (Welsh Edishen*)". (1989, July 25th)
Newspaper *. "The Kilmanrock Standard*". (1989, December 15th)

მადლიერება

სტატიის ავტორი მადლობა უხდის, „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდს", პროექტის „აფხაზეთის ომი ბრიტანული პრესის მასალების მიხედვით" მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის.